

რელიგიური
ორგანიზაციების
და



სასულიერო პირების

წინასაარჩევნო აბიტაციაში მონაწილეობის
მონიტორინგი

გეორგია შუალედური
ანგარიში



დემოკრატიის
კვლევის
ინსტიტუტი (DRI)

2021

სარჩევი

- 1 შესავალი
- 2 სახელმწიფო და ეკლესია – ზღვარი იშლება?
- 6 მიხეილ სააკაშვილის გათავისუფლების საკითხი – სასულიერო პირების აზრთა სხვადასხვაობის საბაზი
- 13 სასულიერო პირები საარჩევნო პროცესებში

შესავალი

ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებამდე მიხეილ სააკაშვილის საქართველოში ჩამოსვლამ, რასაც მისი დაპატიმრება მოჰყვა, მღვდელმსახურების პოლიტიკურ პროცესებში ჩართულობა კიდევ უფრო ინტენსიური გახდა. სასულიერო პირების პოლიტიკური განცხადებების პარალელურად, „ქართული ოცნების“ და „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ ლიდერებმა პატრიარქისა და ეკლესიისადმი ერთგულების დასამტკიცებლად, არაერთი პოლიტიკური განცხადება გააკეთეს. პოლიტიკური ლიდერების მხრიდან ეკლესიისადმი ერთგულების დემონსტრირების განსაკუთრებული ინტენსივობა სწორედ ის ნიშანია, რაც 2021 წლის წინასაარჩევნო კამპანიის პერიოდს უკანასკნელი წლების არჩევნებისგან განასხვავებს. ეკლესიის სახელმწიფოს ფუნდამენტში მოაზრება და სახელმწიფო-პოლიტიკური თანამდებობის პირების განსაკუთრებული აქცენტი სახელმწიფოსა და ეკლესიის ერთიანობაზე, ასეთი აქტუალური არც ერთი წინასაარჩევნო კამპანიის დროს არ ყოფილა. საქართველო მულტიეთნიკური სახელმწიფოა, მრავალფეროვანი რელიგიური დემოგრაფიით. საქართველოს კონსტიტუცია აღიარებს სახელმწიფოსა და ეკლესიის ერთმანეთისგან დამოუკიდებლობას. თუმცა, სახელმწიფო-პოლიტიკური თანამდებობის პირთა განცხადებები, შლის ზღვარს სახელმწიფოსა და ეკლესიას შორის და კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებს საქართველოს, როგორც სეკულარული სახელმწიფოს იდეას.

მეორე ტურამდე წინასაარჩევნო პერიოდი თვალსაჩინო იყო პოლიტიკოსების მხრიდან ეკლესიის სასარგებლოდ პოზიციების ცვალებადობითაც. რელიგიურობის და პატრიარქისადმი ერთგულების დამტკიცების არაერთი მცდელობა ჰქონდათ მიხეილ სააკაშვილს და რამდენიმე ოპოზიციურ ლიდერს.

წინამდებარე ანგარიში მოიცავს 2 ოქტომბრიდან 28 ოქტომბრის ჩათვლით პერიოდს. მასში აღწერილია სასულიერო პირების პოლიტიკურ პროცესებში მონაწილეობის ფაქტები. მონიტორინგის პროცესში გამოიკვეთა ყოფილი პრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილის გავლენის მნიშვნელობა, როგორც საარჩევნო პროცესებზე, ისე სასულიერო პირებზე. შესაბამისად, აშკარა ხდება ორი მნიშვნელოვანი მიგნება. პირველი, მიხეილ სააკაშვილის ჩამოსვლამ და მისმა დაპატიმრება-გათავისუფლების საკითხმა სასულიერო პირებს შორის აზრთა მკაფიო სხვადასხვაობა გამოიწვია და გაამყარა აქამდე არსებული მოსაზრებები, რომ ღვთისმსახურები ძალაუფლების შესანარჩუნებლად აქტიურად თანამშრომლობენ პოლიტიკურ სუბიექტებთან. მეორე, გამოიკვეთა მორალური და ზნეობრივი საკითხებით მანიპულირების მცდელობა საარჩევნო სუბიექტების მხრიდან, რომელიც პირდაპირ კავშირშია ეკლესიის და რელიგიის „გამოყენების“ პრაქტიკასთან.

წინამდებარე ანგარიშის მიზნებისთვის, პირობითად, სასულიერო პირების პოლიტიკური მონაწილეობა გულისხმობს სოციალურ მედიასთან დაკავშირებული ფსიქოლოგიურ და ქცევით ფაქტორებს, მათ პოლიტიკურ მონაწილეობას ონლაინ სივრცეში, რასაც შეუძლია გავლენა მოახდინონ წინასაარჩევნოდ ამომრჩეველთა განწყობაზე, თანამდებობის პირების შერჩევასა და ზოგადად, პოლიტიკაზე. ანგარიში აფასებს, როგორც სასულიერო პირების მიერ გაკეთებულ პოლიტიკური შინაარსის განცხადებებს, ასევე პოლიტიკოსების მიერ ეკლესიით მანიპულაციის მცდელობებს.

სახელმწიფო და ეკლესია – ზღვარი იზლება?

საქართველოს კონსტიტუციის მე-8 მუხლი სახელმწიფოსა და მართლმადიდებლური ეკლესიის ურთიერთობას ეხება. კონსტიტუციური ჩანაწერის თანახმად, რწმენისა და აღმსარებლობის თავისუფლებასთან ერთად, სახელმწიფო აღიარებს საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიის განსაკუთრებულ როლს საქართველოს ისტორიაში და ამავე დროს, აღიარებს მის დამოუკიდებლობას სახელმწიფოსაგან. რელიგიური ორგანიზაციების პოლიტიკურ პროცესებში ჩართვის დაუშვებლობა ხაზგასმულია საქართველოს საარჩევნო კოდექსშიც, რომელიც კრძალავს რელიგიური ორგანიზაციების წინასაარჩევნო კამპანიაში მონაწილეობას. პოლიტიკოსების მხრიდან რელიგიით და ეკლესიით მანიპულაციის აკრძალვა საკანონმდებლო დონეზე რეგულირებული არ არის, თუმცა წარმოადგენს მავნე პრაქტიკას, ვინაიდან საფრთხეს უქმნის სახელმწიფოსა და ეკლესიის ურთიერთდამოუკიდებლობის იდეას.

ქართული ოცნება

„ქართული ოცნების“ 27 ოქტომბრის აქცია

2021 წლის 27 ოქტომბერს, სახელისუფლებო პარტია „ქართული ოცნების“ მხარდასაჭერ მრავალრიცხოვან აქციას სახელმწიფო-პოლიტიკური თანამდებობის პირებმა მიმართეს. თითქმის ყველა გამომსვლელის სიტყვაში განსაკუთრებულ აქცენტი ეკლესიისა და სახელმწიფოს ერთიანობის იდეაზე კეთდებოდა.

ირაკლი დარიბაშვილი, პრემიერ-მინისტრი: „არავის ვაპატიებთ ჩვენი პატრიარქის, სასულიერო პირებისა და ქართული სახელმწიფოს ფუნდამენტის - მართლმადიდებელი ეკლესიის ლანძღვას და შეურაცხყოფას.“

ირაკლი კობახიძე - საქართველოს პარლამენტის წევრი, პოლიტიკური პარტია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს“ თავმჯდომარე: „2012 წელს, აქ, ამ მოედანზე შეკრებილმა ადამიანებმა თავიანთი ერთიანობით, საფუძველი ჩაუყარეს ახალ სახელმწიფოებრივ წესრიგს, რომელიც დღემდე ადამიანის ღირსების, სახელმწიფოსა და ეკლესიის, ჰუმანურობისა და თავისუფლების იდეის კარნახით მოქმედებს.“

თეა წულუკიანი - ვიცე-პრემიერი, საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის მინისტრი: „ჩვენი ხელისუფლების, და ასეთია ჩვენი ხვედრი, ვალია, რომ ხელისუფლება გადააბაროს არა ლეშიჭამიებს, არა ქართველთ მოძულეებს, არა იმათ, ვინც ბნელი წარსულის მოციქულები არიან და ახლა საკნებიდან იჭყიტებიან, არა იმათ ვინც ებრძვის ილია მეორეს, არა იმათ ვინც ებრძვის ხატს და ჯვარს.“

კახა კალაძე - თბილისის მერი, პარტია „ქართული ოცნების“ გენერალური მდივანი: „ჩვენ ქართველმა ხალხმა კიდევ ერთხელ დაგვაკისრა პასუხისმგებლობა, ჩემო მეგობრებო, დავიცვათ ჩვენი სახელმწიფოსა და ეკლესიის სიმტკიცე, დავიცვათ ადამიანის ღირსება და თავისუფლება.“

პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი

ნიკა გვარამიას¹ განცხადების პასუხად, პრემიერ-მინისტრმა ხაზი ეკლესიისა და სახელმწიფოს ერთობას გაუსვა და პატრიარქის ტახტის მოსაყდრის კრიტიკა ანტისახელმწიფოებრივ პოზიციად შეაფასა.

„ჩვენ პერმანენტულ რეჟიმში ვხედავთ თავდასხმას ეკლესიაზე, მეუფეებზე, მღვდელ-მთავრებზე - ეკლესიის წარმომადგენლებზე. მე მინდა გამოვხმაურო ერთ-ერთი ყველაზე ანტისახელმწიფოებრივი და ბინძური პოლიტიკის გამტარებელ გვარამიას შეტევას მეუფე შიოს წინააღმდეგ და არა მხოლოდ მეუფე შიოს, მთელი ეკლესიის წინააღმდეგ. ეს არის კლასიკური მაგალითი, როგორ ებრძვიან ისინი სახელმწიფოს, ეკლესიას - მთავარ ფუნდამენტს. ჩვენი მოსახლეობის წინაშე დღეს ძალიან მარტივი არჩევანია. ერთის მხრივ, არის ხალხის სამსახურში მყოფი „ქართული ოცნება“, რომელმაც უკვე სამჯერ მიიღო ხალხის მანდატი და მეორე მხარეს არის ეს ანტისახელმწიფოებრივი, ხალხის მჩაგვრელი, მწამებელი და ეკლესიის მტერი გვარამია-საკაპშვილ-მელიას კრიმინალური ბანდა, რომელიც 30 ოქტომბერს დასრულდება და ქვეყანა მშვიდობიან განვითარებას გააგრძელებს.“ - განაცხადა ირაკლი ღარიბაშვილმა.²

შალვა პაპუაშვილი - საქართველოს პარლამენტის წევრი, „ქართული ოცნების“ საზოგადოებასთან ურთიერთობის მდივანი

16 ოქტომბერს შალვა პაპუაშვილმა თავის ფეისბუქ-გვერდზე გაავრცელა ტელეკომპანია იმედის ეთერით გასული სიუჟეტი, სადაც ფილოლოგი ლევან გიგინეიშვილი საუბრობს ერთიანი ნაციონალური მოძრაობის ძალადობრივ 9 წელზე. შალვა პაპუაშვილმა ვიდეოს სათაურად მიტროპოლიტი დიმიტრი შიოლაშვილის ციტატა დაურთო, როგორც პოლარიზაციის მიზეზის ყველაზე ზუსტი აღწერა.³



¹ 17 ოქტომბერს, გადაცემა „მთავარ აქცენტებში“ (ხელმისაწვდომია

<https://www.facebook.com/TvMtavari/videos/1681646005533615>) ნიკა გვარამია მიტროპოლიტი შიოს ქადაგებას მუქარის შემცველი განცხადებით გამოეხმაურა. მეუფე შიოს სიტყვებზე, რომ ხშირად არასწორად განმარტავენ ქრისტიანულ სწავლებას, როცა ამბობენ, რომ ყველას ყველაფერი უნდა აპატიო ნიკა გვარამიამ უპასუხა - "გპირდებით, უმალ თქვენი მორალური სიკვდილი დადგება, ვიდრე თქვენ კათალიკოს პატრიარქი დადგებით," primetime.ge, 'ნიკა გვარამია მეუფე შიოს', 18.10.2021, ხელმისაწვდომია <https://primetime.ge/nika-gvaramia-meufe-shios-gpirdebit-umal-tqveni-moraluri-sikvdili-dadgeba-vidre-tqven-katolikos-patriarqi-gakhdebit/>

² რადიო თავისუფლება, „პრემიერმა მოსაყდრე შიოს შესახებ გვარამიას გადაცემა

შეაფასა ანტისახელმწიფოებრივ პოლიტიკად“, 19.10.2021, ხელმისაწვდომია <https://www.radiotavisupleba.ge/a/31519225.html>

³ შალვა პაპუაშვილი - ფეისბუქ გვერდი; ხელმისაწვდომია <https://fb.watch/8Tpr6US8x2/>

„ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“

მიხეილ სააკაშვილი

მიხეილ სააკაშვილმა ოფიციალური ფეისბუქ გვერდის საშუალებით გაავრცელა ინფორმაცია, რომლითაც საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია II-ის მიმართ მხარდაჭერა და პიროვნული პატივისცემა გამოხატა. ასევე, განაცხადა, რომ იყო და არის წმინდა სინოდის ძირითადი პოზიციების მიმდევარი. „კომუნისტების დროიდან, 1979 წლის შემდეგ, მას შემდეგ, რაც ჩემს მასწავლებელ მარა ჭავჭავაძესთან ერთად, ჯერ კიდევ ბავშვი დავესწარი უწმინდესის წირვას, ვრჩები მის სულიერ შვილად და მხარს ვუჭერ ყველა მის პოზიციას ძირითად საეკლესიო საკითხებზე.“⁴

საქართველოს მესამე პრეზიდენტის ამ განცხადებას გამოეხმაურა ჭყონდიდის ყოფილი მიტროპოლიტი პეტრე ცაავა. პეტრე ცაავამ მიხეილ სააკაშვილის განცხადება „დიპლომატიური და პოლიტიკური ბინძური თამაშის წესებით ურთიერთობად“ შეაფასა. „ძალიან სამწუხაროა, რომ ესეთ დიდ პატრიოტს და ძლიერ პოლიტიკოსს დიდი შეცდომა მოგდით, როდესაც დღევანდელ საპატრიარქოსთან ცდილობთ დიპლომატიური და პოლიტიკური ბინძური თამაშის წესებით ურთიერთობას. მოკლედ გეტყვი, რომ კვბ-ს საბჭოთა, წითელი პატრიარქის საეკლესიო კურსის მხარდაჭერა და კომპლიმენტები დღეს, არც მეტი, არც ნაკლები, საბჭოთა მემკვიდრეობისა და ცრუ ქრისტიანობის მხარდაჭერაა.“⁵

მოცემულ პოლიტიკურ რეალობაში რელიგიური რწმენის და ეკლესიისადმი დამოკიდებულებების ჩვენება ერთ-ერთი მანიპულაციის ხერხია, რომელიც ამომრჩეველთა კეთილგანწყობის მოსაპოვებელ საშუალებად განიხილება. ამის მაგალითია მიხეილ სააკაშვილის მცდელობა, წარმოაჩინოს თავი „მორწმუნე“ მსხვერპლად, რომელსაც არ აძლევენ ციხეში ჯვრის⁶ ტარების უფლებას.

ლევან ხაბეიშვილი

ლევან ხაბეიშვილი საქართველოს პარლამენტის წევრი და „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ ერთ-ერთი ლიდერია. მისი განცხადებით, საქართველოში ყველაზე მეტი ტაძარი მიხეილ სააკაშვილის ლიდერობით აშენდა „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ დროს. მისი განცხადებით, სწორედ ამ დროს იყო დაფასებული ყველაზე მეტად ეკლესია და მოძღვარი. „მითხარით, დამოუკიდებელი საქართველოს ისტორიაში კიდევ ერთი ეპოქა, როცა იმაზე მეტი ტაძარი აშენდა, ვიდრე სააკაშვილის პირობებში. მითხარით ერთი მმართველობის პერიოდი, როცა თუნდაც საპატრიარქოს რეიტინგი 99% და ნდობა.“⁷

⁴ მიხეილ სააკაშვილი, ფეისბუქ გვერდი, 20.10.2021, ხელმისაწვდომია <https://www.facebook.com/SaakashviliMikheil/posts/413811506781119>

⁵ Tabula.ge, „მეუფე პეტრე სააკაშვილს- გამარჯვების მომნიჭებელი უფალი სიმართლემია, არა საბჭოთა პატრიარქი“, 20.10.2021, ხელმისაწვდომია https://tabula.ge/ge/news/674822-meupe-petre-saakashvilis-gamarjvebis-momnicheli?fbclid=IwAR2qNd4ALxMwYJ2kTuXi5Yvv5QLCkhyv7zoAldGU-Gct49TA9K3J7Sit_t0

⁶ ipress.ge, „მიხეილ სააკაშვილი: სახელწიფო დროშაზე ჯვრის გამომსახველს არ მეძლევა უფლება ციხეში მკერდზე ჩემი პატარა ჯვარი ვატარო“ 20.10.2021, ხელმისაწვდომია - <https://ipress.ge/new/mikheil-saakashvili-sakheltsipho-droshaze-jvris-gamomsakhvels-ar-medzleva-uphleba-tsikheshi-mkerdze-chemi-patara-jvari-vataro/>;

⁷ Tabula.ge, „ხაბეიშვილი: მითხარით პერიოდი, როცა ეკლესიას და მოძღვარს ისე აფასებდნენ, როგორც მიმას დრო“, 24.10.2021, ხელმისაწვდომია https://tabula.ge/ge/news/674999-khabeishvili-mitkharit-periodi-rotsa-eklesias?fbclid=IwAR0Dyla5EunAe7hCJFCKmJZ4jHmwWObjAVo8wNqKV57_uLXas0SSBibaZNE

გიგი უგულავა, ერთიანი ნაციონალური მოძრაობის მერობის კანდიდატი ფოტოში

წინასაარჩევნო კამპანიის პერიოდში გიგი უგულავამ პატრიარქის მიმართ რიტორიკა მკვეთრად შეცვალა. რამდენიმე თვის წინ გიგი უგულავა 5 ივლის მომხდარ ძალადობრივ მოვლენებზე პასუხისმგებლობას ხელისუფლებას და საქართველოს პატრიარქს, ილია მეორეს აკისრებდა.

“პასუხისმგებელი არის ივანიშვილი და ილია მეორე... გუშინ რაც ვიხილეთ ეს იყო აპოკალიფსური მხეცი, რომელიც საპატრიარქოს ჯურღმულებიდან საკუთარი პრობლემების გადასაფარად გამოუშვა ღარიბაშვილის კურთხევით... სირცხვილია, როცა საპატრიარქოში დარაჯიდან დაწყებული უმაღლესი იერარქებით დამთავრებული არკვევენ, ვინ ვისთან წევს, გააგიჟო ადამიანები და სხვა ადამიანებს მიუქსიო.“ - აცხადებდა გიგი უგულავა TV პირველთან საუბრისას.⁸

პასუხისმგებელი არის ივანიშვილი და ილია მეორე - უგულავა (ვიდეო)

06.07.21 21:42

გაზიარება

ახალი ამბების ქრონიკა

26.10.21 14:30
ძალადობის პროტესტი - სისტემა კიდევ ერთმა პოლიციელმა დაატოვა

26.10.21 13:34
ისტორიული მანძი გვაქვს, რომ ერთპარტიული მმართველობა დაგამარცხოთ - ნიკა მელია

26.10.21 14:28
პაატა ბურჭულაძე ქუთაისის ოპერის თეატრში არ შეუშვეს

26.10.21 13:52
ქვეყნისთვის მძიმე შედეგი რომ არ დადგეს, სააკაშვილის ადვოკატებმა სტარსბურგს უნდა მიმართონ - ანა დოლიძე

26.10.21 13:27
“ოცნების” კონტრაქტია - ხელისუფლებას საგარო მოხელეები იძულებით შიდა ქართლიდანაც ჩამოაკეცენ



დღეს გიგი უგულავას რიტორიკა შეცვლილია. იგი ეკლესიას ქვეყნის უმნიშვნელოვანეს ინსტიტუტად მიიჩნევს. საუბრობს რა პატრიარქის ილია მეორეს ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ, პარალელურად გამოთქვამს შიშს, თუ როგორ შეიძლება მოექცეს ეკლესია რუსეთის მმართველობის ქვეშ იმ შემთხვევაში, თუ საქართველოს პატრიარქი ილია მეორე აღარ იქნება.

„აი, ამ ვითარებაში, მართლა გულწრფელად ვუსურვებ პატრიარქს ჯანმრთელობას, რადგან მის ჯანმრთელობაზეა დამოკიდებული ეკლესიის თავისუფლება დღეს, რომ ბოლომდე რუსეთის მარწუხებში, რომლის მოქცევას ცდილობს კრემლის ეკლესია, ეს არ გამოუვიდეთ, იმიტომ რომ საქართველოს ავტოკეფალური ეკლესია არის ჩვენი ქვეყნის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ინსტიტუტი, რომელსაც გეზი აქვს დასავლეთისკენ, თავისუფლებისკენ, დემოკრატიისკენ, დასავლური უსაფრთხოების სისტემისკენ და კეთილდღეობისკენ და ამ არქიტექტურაში ეწერება ზუსტად ეკლესია და მაგრამ არა შიო მუჯირი, რომელიც კრემლის მოსაყდრეა.“ - გიგი უგულავას ციტატა გაავრცელა ინტერნეტ-ჟურნალმა ტაბულამ.⁹

⁸ TV პირველი, „პასუხისმგებელი არის ივანიშვილი და ილია მეორე - უგულავა (ვიდეო)“ 06.07.2021, ხელმისაწვდომია https://tvpirveli.ge/ka/siaxleebi/politika/6449-pasukhismgebeli-aris-ivanishvili-da-ilia-meore-ugulava-video?fbclid=IwAR1xb3V_K8PI5cr8lQ2sJtCuOHqI8YoC_EPcgxJPfm5eI4pYhPhbOcy2lkl

⁹ Tabula.ge, „გიგი უგულავა - პატრიარქის ჯანმრთელობაზე“, 19.10.2021, ხელმისაწვდომია https://tabula.ge/ge/news/674737-ugulava-patriarkis-janmrteლობაზე-damokidebuli?fbclid=IwAR0tIX6DMPglFz2yOotBg_3PuMVHdvNQ_4r5gIcEd09e-JHkKdopsOWVApA

მიხეილ სააკაშვილის გათავისუფლების საკითხი – სასულიერო პირების აზრთა სხვადასხვაობის საბაზი

მღვდელმსახურების მხრიდან მიხეილ სააკაშვილის პატიმრობასთან დაკავშირებული საკითხები არ შეიძლება ცალსახად აღქმული ან განხილული იქნას სასულიერო პირების პოლიტიკურ პროცესებში ჩარევის მცდელობად, მართლმადიდებლური რელიგიის ზოგადი ბუნებიდან და კაცთმოყვარეობის პოზიციიდან გამომდინარე. თუმცა, საკითხი მრავალწახნაგაანია. მიხეილ სააკაშვილი არა მხოლოდ ყოფილი პრეზიდენტია, ის უმსხვილესი ოპოზიციური პარტიის მთავარი სახე და ამომრჩეველთა დიდი ნაწილის მიზიდულობის ცენტრია. შესაბამისად, ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების მეორე ტურამდე რამდენიმე კვირით ადრე, მღვდელმსახურების მასთან დაკავშირებით გაკეთებული შეფასება ვერ იქნება განხილული მიმდინარე პოლიტიკური მოვლენებისგან იზოლირებულად. კონკრეტული სასულიერო პირების საზოგადოებრივი ავტორიტეტის გათვალისწინებით, მიხეილ სააკაშვილთან დაკავშირებით გაკეთებულ მათ მოსაზრებას პოტენციურად შეიძლება ჰქონდეს მნიშვნელოვანი გავლენა ამომრჩევლის განწყობის ფორმირებაზე.

შეიძლება ითქვას, რომ მესამე პრეზიდენტის დაკავებამ სასულიერო პირების ზოგადი პოლიტიკური ორიენტირები გამოკვეთა. მღვდელმთავრების ნაწილი, მიხეილ სააკაშვილის გათავისუფლების პეტიციას შეუერთდა, ხოლო ნაწილი რადიკალურად გაემიჯნა. საინფორმაციო სააგენტო interpressnews-ის გავრცელებული ინფორმაციით, სასულიერო პირები მიხეილ სააკაშვილის გათავისუფლების პეტიციას შემდეგი ქრონოლოგიით შეუერთდნენ: მარგვეთისა და უბისის ეპისკოპოსი მელქისედეკი, ახალქალაქის, კუმურდოსა და კარის მიტროპოლიტი ნიკოლოზი, შემოქმედელი მიტროპოლიტი იოსები და ფოთისა და ხობის მიტროპოლიტი მეუფე გრიგოლი. მიტროპოლიტმა იოანე გამრეკელმა, მიტროპოლიტმა სტეფანემ, არქიმანდრიტ იოვანე მჭედლიშვილმა, მარნეულისა და ჰუჯაბის ეპისკოპოსმა გიორგი ჯამდელიანმა განაცხადეს, რომ არ შეუერთდებოდნენ პეტიციას. პატრიარქის ძმისშვილმა დიმიტრი შიოლაშვილმა კი ის ღვთისმსახურებიც გაკიცხა, ვინც პეტიციას ხელი მოაწერა.

სასულიერო პირების მხრიდან საქართველოს მესამე პრეზიდენტის მხარდაჭერა მათი სუბიექტური პოზიციისა და ვერ იქნება განხილული საპატრიარქოს პოზიციად, - განაცხადა საპატრიარქოს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის ხელმძღვანელმა ანდრია ჯალმაიძემ.¹⁰

მიტროპოლიტმა ნიკოლოზ ფაჩუაშვილმა და მალხაზ სონღულაშვილმა 14 ოქტომბერს საზოგადოებას შერიგებისკენ მოუწოდეს, თუმცა საპატრიარქო ტახტის მოსაყდრე შიო მუჯირმა შერიგების იდეა ცალსახად უარყო.

ახალქალაქის, კუმურდოსა და კარის მიტროპოლიტი ნიკოლოზ ფაჩუაშვილი

მიტროპოლიტი ნიკოლოზ ფაჩუაშვილი საქართველოს საპატრიარქოს მისიისა და ევანგელიზაციის განყოფილების თავმჯდომარის მოადგილე და საქართველოს ეკლესიის

¹⁰ რადიო თავისუფლება, „რადიო თავისუფლება ავრცელებსანდრია ჯალმაიძის კომენტარს“ 07.10 2021, ხელმისაწვდომია <https://l.facebook.com/l.php?u=https%3A%2F%2Fwww.radiotavisupleba.ge%2Fa%2F31508759.html%3Ffbclid%3DlWAr1rXYcVmmf1L-zwgi1dZaziBpgd11Gb-D6WuxWI33iNjfCHfRCXMOumo&h=AT2B-1O7zm1T9ov52kiKI7xHUdyuh5okJZTWelJVvSu2qmdN3AQThrYDSy5H2dDy9UD1YWbvHkNaxvaUdgcyyKnhSoOs3Qi6HCbVfDiztFBB6yq45vfhlrZfjtbzjAA0OroeoyYcE8Q3aY>

წმინდა სინოდის წევრია. 13 ოქტომბერს გავრცელებული ინფორმაციის მიხედვით, მეუფე ნიკოლოზი იყო ერთ-ერთი პირველი, რომელმაც მიხეილ სააკაშვილი რუსთავის #12 პენიტენციურ დაწესებულებაში მოინახულა.

მეუფე ნიკოლოზის განცხადებით, არ სურს ციხეში იხილოს საქართველოს მესამე პრეზიდენტი. „მე მინდა, ჩემს ქვეყანაში ქვეყნის პირველი პირი წინა პირველ პირს ციხეში არ სვამდეს, ისე ახერხებდნენ ურთიერთობას - მერე კიდევ შეიცვლება ხელისუფლება და მინდა ხელისუფლების ცვალებადობა არ იყოს წინას ციხეში ჯდომასთან დაკავშირებული... მაგალითი სააკაშვილმა თავის დროზე მოგვცა, მისი წინა პირველი პირი რომ არ დააპატიმრა,“¹¹ - განაცხადა მიტროპოლიტმა „რადიო თავისუფლების“ ჟურნალისტთან.

„მოგეხსენებათ, რომ პრეზიდენტის უკანონო პატიმრობაში ყოფნა მთლიანად საქართველოსთვის შეურაცხმყოფელია... მთელი ქვეყანა დღეს ვდგავართ დიდი გამოწვევის წინაშე. გამოსავალი აქედან არის, შევწყვიტოთ სიძულვილის რიტორიკა, შევწყვიტოთ ერთმანეთზე ცუდი საუბარი. მე ვთხოვე ბატონ მიხეილს, რომ მოეწოდებინა თავისი მომხრეებისთვის და რომელ ტელევიზიებსაც შეიძლება, რომ განსაკუთრებით მოუწოდოს, რომ ჩვენ ვიფიქროთ ყველამ ერთად შერიგებასა და მიტევებაზე, ქრისტიანულ მიტევებაზე. ჩვენ მისატევებელი გვაქვს ძალიან ბევრი ერთმანეთისთვის... ჩვენ რომ ერთმანეთს ვუანგარიშოთ, ვის რა დანაშაული აქვს ჩადენილი, ქვეყანა ასე წინ ვერ წაიწევეს... მე დიდი იმედი მაქვს, რომ ბატონი მიხეილი გამობრძანდება ციხიდან და დაიწყება ახალი ერა, ახალი ეპოქა ჩვენი ქვეყნის ისტორიაში, იმით, რომ ჩვენ ყველანი, მოქმედი, წარსული და მომავალი ხელისუფლება ერთმანეთთან გამონახვენ საერთო ენას და ჩვენც ერთმანეთთან გამოვინახავთ საერთო ენას“.¹²

ნიკოლოზ ფაჩუაშვილის განცხადებამ სააკაშვილის პატიმრობასთან დაკავშირებით სასულიერო პირების პოზიციის მიმართ მედიის ინტერესი გააძლიერა. ამან, თავის მხრივ, სტიმული მისცა სასულიერო პირების განცხადებებს მიხეილ სააკაშვილის გათავისუფლების და შერიგების აუცილებლობის და მეორეს მხრივ, ერთიანი ნაციონალური მოძრაობის ხელისუფლებაში დაბრუნების დაუშვებლობაზე.

ეპისკოპოსი მელქისედეკი

მარგვეთისა და უბისის ეპისკოპოსი და საქართველოს ეკლესიის წმინდა სინოდის წევრია. ეპისკოპოსმა მიხეილ სააკაშვილი რუსთავის #12 პენიტენციურ დაწესებულებაში 14 ოქტომბერს მოინახულა.¹³

¹¹ რადიო თავისუფლება, „საკაშვილის გათავისუფლების მოთხოვნით შექმნილ პეტიციას მიტროპოლიტი ნიკოლოზიც შეუერთდა“, 11.10.2021, ხელმისაწვდომია https://www.radiotavisupleba.ge/a/31503553.html?fbclid=IwAR2QaYmxH2Se2inkIVQ2t2R8HsJuyoGcq2u34ci9KjyYDQ4DpWxZC0_sdao

¹² რადიო თავისუფლება, „ნიკოლოზ ფაჩუაშვილი: დიდი იმედი მაქვს, რომ ბატონი მიხეილი გამობრძანდება ციხიდან“, 13.10.2021, ხელმისაწვდომია <https://www.radiotavisupleba.ge/a/31507423.html?fbclid=IwAR3zHNR-TJi5A-zM6bSS1ji-LS0TDQgRMGvnpnDww83Dlpg29L3flrxyT2k>

¹³ რადიო თავისუფლება, „ეპისკოპოსი მელქისედეკი ციხეში მიხეილ სააკაშვილს შეხვდა“, 15.10.2021, ხელმისაწვდომია <https://www.radiotavisupleba.ge/a/31511996.html?fbclid=IwAR2BGp6QCLotrJ2OTQJTAMivvyudrmHPwhbuLw6zJc1OG46l2Tbpe7sCco>

მიტროპოლიტი იოსები

მიტროპოლიტი იოსები საქართველოს ეკლესიის წმინდა სინოდის წევრია. მან მხარი დაუჭირა მიხეილ სააკაშვილის გათავისუფლების პეტიციას.

„არ მინდა, რომ კიდევ ერთ ცოდვაში ჩავარდეს ჩვენი ერი და ტრადიციად ვაქციოთ პრეზიდენტების დასჯა. რასაც გაუკეთებ სხვას, იგივე ან უფრო უარესი შეიძლება მოგივიდეს შენ. და თუ საუბარია საქართველოს მესამე პრეზიდენტის დასჯაზე, პირველ რიგში ზვიად გამსახურდიას მკვლელები რატომ არ ისჯებიან, რატომ არ იქნა ეს გამოძიებული, რატომ არ ისჯებიან ის ადამიანები, ვინც ბევრი ბოროტება შეამთხვიეს ჩვენს ქვეყანას, თუმცა მე უმრავლესობასთან ერთად არ ვითხოვ არავის დასჯას, ღმერთი მოწყალეა და ერთხელ და სამუდამოდ შევრიგდეთ და მშვიდობიანი არჩევნები და ქვეყანა შევქმნათ. მე კიდევ ერთხელ მინდა ვთხოვო ჩვენს ხელისუფლებას, ჩვენ ხალხს გამოიჩინოს ქრისტესმიერი მოწყალეობა, სიყვარული. წინააღმდეგ შემთხვევაში იგივე და უარესი შეიძლება მოუვიდეთ მათ.“¹⁴

მიტროპოლიტი გრიგოლი

ფოთისა და ხობის მიტროპოლიტი გრიგოლი საქართველოს ეკლესიის წმინდა სინოდის წევრია. მისი განცხადებით, საქართველოს მესამე პრეზიდენტის საპრობილეში ყოფნის ყოველი დღე მხოლოდ ქვეყნის ინტერესების საზიანოდ მოქმედებს.

„ვფიქრობთ, რომ საქართველოს მესამე პრეზიდენტს უნდა ჰქონდეს საკუთარ სამშობლოში თავისუფალი ცხოვრების შესაძლებლობა; და ეს, უწინარეს ყოვლისა, სჭირდება არა მას, მიხეილ სააკაშვილს, არამედ ჩვენი ქვეყნისა და საზოგადოების სამომავლო ინტერესებს. იმედი მაქვს, რომ საქართველოს ხელისუფლება ყველა ღონეს იხმარს იმისთვის, რომ ქვეყნისთვის დამაზიანებელი შედეგების გარეშე დაძლეულ იქნას ის სახიფათო ზონა, რომელშიც დღეს იმყოფება ჩვენი სამშობლო და წარსულის მძიმე გამოცდილების გათვალისწინებით გავაგრძელებთ წინსვლას შეუქცევად!“¹⁵

მიტროპოლიტი ანანია

მიტროპოლიტი ანანია საქართველოს ეკლესიის წმინდა სინოდის წევრია. რადიო თავისუფლება აქვეყნებს მიტროპოლიტის კომენტარს, რომელიც მან მცხეთაში, სვეტიცხოვლობის წირვაზე შესვლამდე გააკეთა: „ვაპატიოთ, შეუძლოთ, ეს არის უმთავრესი - შენდობა“. ჟურნალისტების კითხვაზე, მოაწერს თუ არა ხელს პეტიციას, მიტროპოლიტმა უპასუხა, რომ „აუცილებლად“.¹⁶

¹⁴ newsreport.ge, „მსურს, განვმარტო, რატომ მოვაწერე ხელი სააკაშვილის გათავისუფლებას - მეუფე იოსები“, 12.10.2021, ხელმისაწვდომია მსურს, განვმარტო, რატომ მოვაწერე ხელი სააკაშვილის გათავისუფლებას – მეუფე იოსები | newsreport.ge

¹⁵ interpressnews.ge, „ფოთისა და ხობის მიტროპოლიტი - მესამე პრეზიდენტის საპრობილეში ყოფნის ყოველი დღე მხოლოდ და მხოლოდ ქვეყნის ინტერესების საზიანოდ მოქმედებს“, 13.10.2021, ხელმისაწვდომია <https://www.interpressnews.ge/ka/article/678558-potisa-da-xobis-mitropoliti-mesame-prezidentis-sapqobileshi-qopnis-qoveli-dge-mxolod-da-mxolod-kveqnis-interesebis-sazianod-mokmedebs>

¹⁶ რადიო თავისუფლება, „მიტროპოლიტი ანანია ხელს მოაწერს მიხეილ სააკაშვილი გათავისუფლების პეტიციას“, 14.10.2021, ხელმისაწვდომია https://www.radiotavisupleba.ge/a/31508407.html?fbclid=IwAR2gPvLk_Yp8Q5n7TYWEmXCB1W8d8rR6VzSCM DB9W0W71JlaX47LawFeqQ0

ეპისკოპოსი მიქაელი

თიანეთისა და ფშავ-ხევსურეთის ეპისკოპოსი მიქაელი საქართველოს წმინდა სინოდის წევრია. მიხეილ სააკაშვილთან დაკავშირებით მისი პოზიცია ნეიტრალურია. ეპისკოპოსის განცხადებით, ის მომხრეა იმისა, რომ ყველა ადამიანი გათავისუფლდეს და საყვარელ ოჯახს დაუბრუნდეს. „ხელის მოწერა ბევრს არაფერს ნიშნავს, მთავარია ის, რომ ნებისმიერი ადამიანისთვის მიწა და სიკეთე, კარგი. მარტო მიხეილ სააკაშვილზე არ არის აქ საუბარი, აქ საუბარია ყველა იმ ადამიანზე, რომელსაც ელოდებიან სახლში მშობლები, დედამამიშვილები.“¹⁷

მეუფე გრიგოლ კაცია

გრიგოლ კაცია აგარაკ-წალკის ეპისკოპოსი და საქართველოს სამოციქულო მართლმადიდებელი ეკლესიის წმინდა სინოდის წევრია. მისი განცხადებით, მესამე პრეზიდენტის გათავისუფლების მოთხოვნას მხოლოდ პატრიარქის კურთხევის შემთხვევაში შეუერთდება - „პატრიარქის კურთხევა თუ იქნება, კი.“¹⁸

მიტროპოლიტი დიმიტრი (შიოლაშვილი)

ბათუმისა და ლაზეთის მიტროპოლიტი დიმიტრი (შიოლაშვილი) საქართველოს წმინდა სინოდის წევრი და კათალიკოს-პატრიარქის ძმისშვილია. ყოფილ პრეზიდენტთან დაკავშირებით უარყოფითი პოზიცია მიტროპოლიტმა თავის ფეისბუქ გვერდზე გამოაქვეყნა. მან ის ღვთისმსახურებიც გაკიცხა, ვინც პეტიციას ხელი მოაწერა. „შერიგება საღმრთო საქმეა, ჩვენი რწმენის დედა აზრი და საფუძველთა საფუძველი, შერიგების სურვილი უნდა მოდიოდეს ტანჯულისგან და არა მტანჯველისგან, მტანჯველი კი სინანულს უნდა განიცდიდეს. პეტიციაზე ხელმომწერ მღვდელმთავრებს მივმართავ, ერთხელ მაინც თუ შეხვედრიხართ ამ ტანჯვა-წამება გამოვლილ ოჯახებს, მათი ჭირვარამი თუ მოგისმენიათ?“¹⁹

მოგვიანებით, მმართველი პარტიის პოლიტიკური საბჭოს წევრმა შალვა პაპუაშვილმა მიტროპოლიტის, როგორც ავტორიტეტული სასულიერო პირის მოსაზრება, საკუთარი პოზიციის გასამყარებლად გამოიყენა.

მიტროპოლიტი იოანე გამრეკელი

ქუთაის-გაენათის ეპარქიის მიტროპოლიტი იოანე საქართველოს საპატრიარქოს წმინდა მეფე დავით აღმაშენებლის სახ. განათლების ცენტრის თავმჯდომარე და საქართველოს ეკლესიის წმინდა სინოდის წევრია. მიტროპოლიტმა თავისი პოზიცია სააკაშვილის

¹⁷ [interpressnews.ge](https://www.interpressnews.ge), „მეუფე მიქაელი- ხელის მოწერა ბევრს არაფერს ნიშნავს, თავისუფლება უნდა ყველას, მომხრე ვარ, რომ ყველა ადამიანი გათავისუფლდეს და საყვარელ ოჯახს დაუბრუნდეს“, 14.10.2021 ხელმისაწვდომია <https://www.interpressnews.ge/ka/article/678752-meupe-mikaeli-xelis-mocera-bevrs-arapers-nishnavs-tavisupleba-unda-qvelas-momxre-var-rom-qvela-adamiani-gatavisupldes-da-saqvarel-ojaks-daubrunde>

¹⁸ [Tabula.ge](https://www.tabula.ge), „მეუფე გრიგოლ კაცია: პატრიარქის კურთხევა, თუ იქნება, სააკაშვილზე პეტიციას შეუერთდება“, 14.10.2021, ხელმისაწვდომია <https://www.tabula.ge/ge/news/674549-meupe-grigol-katsia-patriarkis-kurtkheva-tu?fbclid=IwAR3Z2KT8YHDfrKzREsb07LafCIUpAhzX0hCqdqYVK8hdYJiMoHSV9MhYF-c>

¹⁹ [interpressnews.ge](https://www.interpressnews.ge), „მეუფე დიმიტრი - შერიგების სურვილი უნდა მოდიოდეს ტანჯულისგან და არა მტანჯველისგან - პეტიციაზე ხელმომწერ მღვდელმთავრებს მივმართავ, ერთხელ მაინც თუ შეხვედრიხართ ამ ტანჯვა-წამება გამოვლილ ოჯახებს“ 15.10.2021, ხელმისაწვდომია <https://www.interpressnews.ge/ka/article/679028-meupe-dimitri-sherigebis-survili-unda-modiodes-tanjulisgan-da-ara-mtanjvelisgan-peticiaze-xelmomcer-mgvdelmtavrebs-mivmartav-ertxel-mainc-tu-shexvedrixart-am-tanjva-cameba-gamovlil-ojaxebs>

გათავისუფლებასთან დაკავშირებით ჟურნალისტის კითხვის საპასუხოდ გამოხატა; სხვა მღვდელმთავრების პოზიცია კი მათ სუბიექტურ მოსაზრებად შეაფასა. „რა მოტივი აქვთ, რატომ აწერენ ხელს, ეს მათი საქმეა. სუბიექტური პოზიციაა ქვეყნის ინტერესები. თუ ქვეყანაში სამართალი არ არსებობს, მაშინ ქვეყანა აღარ არის. 2005, 2006, 2007, 2008 წლებში არ გაგიჩნდათ კითხვა, არსებობს თუ არა სამართლიანი სასამართლო? 100 ათასიანი მიტინგები რომ დაარბიეს, ეგ არ გახსოვთ ხომ? მაშინ ხმა არავის ამოუღია, როცა ბიზნესს არეკეტებდნენ, მკვლელობები ხდებოდა... ახლა გაგიჩნდათ კითხვები? როცა დამნაშავე არ აღიარებს თავის დანაშაულს, არც ნანობს და კიდევ აქეთ ხულიგნობს, შერიგება არ ხდება“, - განაცხადა მეუფე იოანემ.²⁰

მიტროპოლიტი სტეფანე

ჰყონდიდის მიტროპოლიტი და საქართველოს წმინდა სინოდის წევრი სტეფანე მიხეილ სააკაშვილის გათავისუფლების მოთხოვნას არ შეუერთდა. მან ჟურნალისტებს განუცხადა, რომ ის მიხეილ სააკაშვილის გათავისუფლების პეტიციაზე ხელის მოწერას არ აპირებს.

„სამართლიანი თუ არ იქნება უფალი, მაშინ ჯოჯოხეთი ფაქტობრივად გაუქმდება და სამოთხე დაემსგავსება აყროლებულ ღორების ფარებს. სამართლიანობა თუ არ იქნება, მხოლოდ წყალობა არ არის ის, რაც არის სიკეთე. რაც შეეხება სააკაშვილს, პოლიტიკურ აფერისტებსა და პოლიტიკურ პროვოკატორებს ვერ ვაფასებ. [პეტიციაზე ხელმოწერას] არ ვაპირებ და არ მოვაწერ“, - განაცხადა მეუფე სტეფანემ.²¹

24 ოქტომბერს მიტროპოლიტმა სტეფანემ, საკვირაო ქადაგებისას მიხეილ სააკაშვილს მიმართა. „მადლობა უთხარი ღმერთს, რისი შიმშილობა? უწმინდესმა გამოგიგზავნა სეფისკვერი და ლოცვა-კურთხევა, მიიღე და წყნარად, მშვიდად გააგრძელე სინანულით ცხოვრება. რა გინდა, რას ეპოტინები ხელისუფლებას?!“²²

არქიმანდრიტი იოვანე მჭედლიშვილი

სამების ტაძრის არქიმანდრიტი იოვანე, რომელსაც ფეისბუქ გვერდზე 37 ათასზე მეტი გამომწერი ჰყავს, ხშირად აზიარებს ვიდეო და ფოტო მასალას მიხეილ სააკაშვილის საწინააღმდეგო განცხადებებით. არქიმანდრიტმა საპატრიარქო ტახტის მოსაყდრის, სენაკისა და ჩხოროწყუს მიტროპოლიტ შიოს (მუჯირი) საკვირაო ქადაგებაც გააზიარა, რომელშიც მიხეილ სააკაშვილის საწინააღმდეგო რიტორიკით იყო გაჯერებული.

²⁰ [interpressnews.ge](https://www.interpressnews.ge/), „მეუფე იოანე სააკაშვილზე - როცა დამნაშავე არ აღიარებს დანაშაულს, არ ნანობს და კიდევ აქეთ ხულიგნობს, შერიგება არ ხდება“, 14.10.2021, ხელმისაწვდომია

<https://www.interpressnews.ge/ka/article/678741-meupe-ioane-saakashvilze-roca-damnashave-ar-agiarebs-danashauls-ar-nanobs-da-kidev-aket-xulignobs-sherigeba-ar-xdeba>

²¹ [interpressnews.ge](https://www.interpressnews.ge/), „მეუფე სტეფანე სააკაშვილზე - პოლიტიკურ აფერისტებსა და პოლიტიკურ პროვოკატორებს ვერ ვაფასებ - პეტიციაზე ხელმოწერას არ ვაპირებ“, 14.10.2021, ხელმისაწვდომია

<https://www.interpressnews.ge/ka/article/678740-meupe-stepane-saakashvilze-politikur-aperistebsa-da-politikur-provokatorebs-ver-vapaseb-peticiaze-xelmoceras-ar-vapireb>

²² [Faxinter.news](https://www.facebook.com/watch/?ref=search&v=428336968643336&external_log_id=00e05291-6731-4811-a6c5-2a3a3ba4d615&q=%E1%83%9B%E1%83%94%E1%83%A3%E1%83%A4%E1%83%94%20%E1%83%A1%E1%83%A2%E1%83%94%E1%83%A4%E1%83%90%E1%83%9C%E1%83%94) - ფაქსინტერნიუსი, მეუფე სტეფანე მიხეილ სააკაშვილზე; 24.10.2021, ხელმისაწვდომია

[https://www.facebook.com/watch/?ref=search&v=428336968643336&external_log_id=00e05291-6731-4811-a6c5-](https://www.facebook.com/watch/?ref=search&v=428336968643336&external_log_id=00e05291-6731-4811-a6c5-2a3a3ba4d615&q=%E1%83%9B%E1%83%94%E1%83%A3%E1%83%A4%E1%83%94%20%E1%83%A1%E1%83%A2%E1%83%94%E1%83%A4%E1%83%90%E1%83%9C%E1%83%94)

[2a3a3ba4d615&q=%E1%83%9B%E1%83%94%E1%83%A3%E1%83%A4%E1%83%94%20%E1%83%A1%E1%83%A2%E1%83%94%E1%83%A4%E1%83%90%E1%83%9C%E1%83%94](https://www.facebook.com/watch/?ref=search&v=428336968643336&external_log_id=00e05291-6731-4811-a6c5-2a3a3ba4d615&q=%E1%83%9B%E1%83%94%E1%83%A3%E1%83%A4%E1%83%94%20%E1%83%A1%E1%83%A2%E1%83%94%E1%83%A4%E1%83%90%E1%83%9C%E1%83%94)



არქიმანდრიტი იოვანე მჭედლოშვილის
ფესიბუქ გვერდი

მარნეულისა და ჰუჯაბის ეპისკოპოსი გიორგი (ჯამდელიანი)

მარნეულისა და ჰუჯაბის ეპისკოპოსი პოლიტიკური განცხადებების გაკეთებისგან თავს არ იკავებს. 19 ოქტომბერს სოციალურ მედიაში გავრცელდა მეუფე გიორგის ინტერვიუ, სადაც იგი საუბრობს მიხეილ სააკაშვილზე და იმ მორალურ და პოლიტიკურ პასუხისმგებლობებზე, რომელიც საქართველოს მესამე პრეზიდენტს აკისრია. ეპისკოპოსმა მიხეილ სააკაშვილის მმართველობის დროს ჩადენილი ძალადობრივი ქმედებები გაიხსენა.²³

თბილისის ვაკის მაცხოვრის ფერიცვალების სახელობის ტაძრის წინამძღოლი, მამა შალვა კეკელია

მამა შალვა კეკელია საზოგადოების გარკვეულ სეგმენტში პოპულარობით სარგებლობს. 20 ოქტომბერს გავრცელდა მისი ქადაგების ფრაგმენტი, სადაც ის ნათლად გამოხატავს პოლიტიკურ პოზიციას.

„მკვლევები როგორ შეიძლება ისევ მთავრობაში მოვიდნენ? ხომ ყველას გვახსოვს, 2012 წელს როგორ ამოისუნთქა ხალხმა, როგორი რეჟიმი იყო, როგორ კლავდნენ ხალხს, ქონებას როგორ ართმევდნენ. დათო უჯმაჯურიძის სული აცხონოს ღმერთმა, საოცარი კაცი, ვაკეში, შუადღის 2 საათზე მანქანიდან გადმოიყვანეს, ლიბერთი ბანკის წინ მანქანა დაუწვეს, იმიტომ რომ ერთ-ერთ პარტიას, მემარჯვენეებს აფინანსებდა. მანქანა დაუწვეს, აიყვანეს საგურამოს ტყეში, სცემეს, იარაღი თავზე დაადეს და გვერდით ტყვია ესროლეს. ასეთი რამდენი აქვთ გაკეთებული? და დღესაც როგორ გვემუქრებიან, როგორ ლაპარაკობენ... ვითმენ, ვითმენ, ვუყურებ ეკლესიის ასე ლანძღვას, ამ ყველაფრის ყოველდღე ასე განადგურებას, შენ თუ ქრისტიანი ხარ, ასეთი ადამიანები როგორ მოგწონს?“²⁴

²³ კონსერვატორი, Facebook გვერდი, მეუფე გიორგი - შერიგება და სამართლიანობა; 19.10.2021;

ხელმისაწვდომია <https://www.facebook.com/watch/?ref=saved&v=204821551653814>

²⁴ ამონარიდი მამა შალვა კეკელიას ქადაგებიდან, ხელმისაწვდომია მკვლევები როგორ შეიძლება ისევ მთავრობაში მოვიდნენ? ეს მთავრობაც უნიათოები, ამათი ბრალია, რომ ესენი (ოპოზიცია)ასე არიან - INFO POSTALIONI

დეკანოზი დავით კონჯარია


15 ოქტომბერს დეკანოზმა დავით კონჯარიამ მეუფე იოანეს ინტერვიუ გააზიარა, სადაც იოანე გამრეკელი აღნიშნავს, რომ როდესაც დამნაშავე არ აღიარებს თავის დანაშაულს, არც ნანობს და კიდევ აქეთ ხულიგნობს, შერიგება არ ხდება.



დეკანოზ დავით კონჯარიას
ფეისბუქ გვერდი

დეკანოზი გიორგი ჯგუშია

19 ოქტომბერს დეკანოზმა გიორგი ჯგუშიამ გააზიარა ინტერვიუ დევნილთან, რომელიც აცხადებს, რომ ნაციონალური მოძრაობის წევრებმა აგვისტოს ომის დროს მიატოვეს.²⁵ მეორე დღეს, დეკანოზმა გააზიარა მამუკა არეშიძეს ინტერვიუ, რომელშიც ის აცხადებს, რომ მიხეილ სააკაშვილი ცდილობს ქართულ საზოგადოებაში გააჩინოს აღქმა, რომ ევროპარლამენტი მას პოლიტპატიმრად მიიჩნევს, სინამდვილეში კი გამაყრუებელი სიჩუმეა.



დეკანოზ გიორგი ჯგუშიას
ფეისბუქ გვერდი


²⁵ V•endetta, „ნაციონალური მოძრაობისგან მიტოვებული დევნილების უმძიმესი ისტორია“, 19.10.2021, <https://www.facebook.com/VendettaKa/videos/270180901661312>

სასულიერო პირები საარჩევნო პროცესებში

დეკანოზი არჩილ დათეშიძე

22 ოქტომბერს დეკანოზმა არჩილმა ქართული ოცნების ვიდეო გააზიარა, რომელშიც ირაკლი ღარიბაშვილი ხოზის მერობის კანდიდატზე, დავით ბუკიაზე საუბრობს, რომელსაც „გამარჯვებამდე სულ ცოტა დააკლდა“.²⁶

23 ოქტომბერს, დეკანოზმა კიდევ ერთი ვიდეო ჩანაწერი გააზიარა, რომელშიც პრემიერ-მინისტრი აცხადებს, რომ ქუთაისში „ქართულ ოცნებას“ ყავს ღირსეული კანდიდატი, წესიერი კაცი, კვალიფიციური, გამოცდილი და ნამდვილი ქუთაისელი - იოსებ ხახალეიშვილი. ამავე ვიდეოში, პრემიერ-მინისტრმა საჯარო უწყებებში ხელფასების გაზრდის დაპირებაც დადო.²⁷



დეკანოზ არჩილ დათეშიძის
ფეისბუქ გვერდი

დეკანოზი ელიოზ ჯინჭარაძე

დეკანოზი ელიოზ ჯინჭარაძე ხშირად აზიარებს ფეისბუქის სხვა მომხმარებლების პოლიტიკური შინაარსის პოსტებს, თუმცა თავის მოსაზრებას ყველა შემთხვევაში არ გამოხატავს. მას ფეისბუქ გვერდზე 5000-მდე მიმდევარი ჰყავს.

22 ოქტომბერს დეკანოზმა გააზიარა ფეისბუქ მომხმარებლის მიერ ატვირთული ვიდეო, მინაწერით „რამდენი დაპირება შეასრულეთ აქედან?“ ჩანაწერი სავარაუდოდ, 2012 წელს გადაღებულია, სადაც კახა კალაძე წინასაარჩევნო დაპირებებს იძლევა.

²⁶ ქართული ოცნება; Facebook გვერდი, ირაკლი ღარიბაშვილის კომენტარი ხოზში; 22.20.2021 <https://www.facebook.com/GaribashviliOfficial/videos/437718214445694> ;

²⁷ ქართული ოცნება; Facebook გვერდი, ირაკლი ღარიბაშვილის კომენტარი ქუთაისში; 23.20.2021; ხელმისაწვდომია <https://www.facebook.com/GeorgianDreamOfficial/videos/569554384126131> ;



დეკანოზ ელიოზ ჯინჭარაძის
ფეისბუქ გვერდი

შინ (არ) მოუნოლებს შერიგებისკენ?

მიტროპოლიტი ნიკოლოზ ფაჩუაშვილი

შერიგების იდეაზე პირველი ნიკოლოზ ფაჩუაშვილი ალაპარაკდა. ახალქალაქის, კუმურდოსა და კარის მიტროპოლიტმა საზოგადოებას და პოლიტიკოსების შერიგებისკენ მოუწოდა. ამის შესახებ მან მცხეთაში, სვეტიცხოვლობის წირვის დასრულების შემდეგ განაცხადა.

„საპატრიარქო და ეკლესია სულ შერიგებისკენაა, რაც თავი მახსოვს. ჩვენ ყოველთვის ყველას მოვუწოდებთ შერიგებისკენ და დღეს არის კიდევ ერთი შესაძლებლობა ქართველი ხალხისთვის. დღეს ეკლესიაში გვაქვს საყოველთაო შენდობის დღე და ყველანი, მიუხედავად ყველაფრისა, ერთმანეთს ვთხოვთ შენდობას და თუ ამას დღეს გააკეთებს ჩვენი ხალხი, ჩვენი ქვეყანა ძალიან ძლიერი, სწრაფი განვითარების გზას დაადგება. მე არ ვიცი, რას ნიშნავს პოლიტიკოსების მზაობა შესარიგებლად, მაგრამ ვიცი, რომ ეს შესაძლებელია და ეს არის ერთადერთი გამოსავალი ამ სიტუაციაში“.²⁸

ნიკოლოზ ფაჩუაშვილი იყო ერთ-ერთი პირველი, რომელმაც მიხეილ სააკაშვილი მოინახულა.

ანდრია ჯალმაიძე

ნიკოლოზ ფაჩუაშვილის განცხადებას იმავე დღესვე გამოეხმაურა საქართველოს საპატრიარქოს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის ხელმძღვანელი ანდრია ჯალმაიძე. მისი განცხადებით, შერიგებისკენ მოწოდება ქრისტიანული იდეაა და ამაზე ეკლესია სულ საუბრობს, „მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ქრისტიანული მოწოდებების

²⁸ რადიო თავისუფლება, „მიტროპოლიტ ნიკოლოზის თმით, საპატრიარქო და ეკლესია სულ შერიგებისკენაა“, 14.10.2021, ხელმისაწვდომია https://www.radiotavisupleba.ge/a/31508702.html?fbclid=IwAR2xvb-K95wCLWrTxdMKr2DWYmyozYYuP51_P_qzH8ypVNdo71gKd3EgGEM

სრულად შესრულება სახელმწიფოს ფუნქციონირების პარამეტრებსა და კატეგორიებში გადის. ესე რომ იყოს, ბედნიერად ვიცხოვრებდით.“²⁹



ანდრია ჯაღმაიძემ ქრისტიანული იდეის პოლიტიზებად შეაფასა მღვდელმთავრების მიერ სააკაშვილის გათავისუფლების პეტიციაზე ხელმოწერა. „საპატრიარქოს პოზიცია არ არის არცერთი განცხადება, რაც მათ კერძოდ გააკეთეს. თქვენ ხომ სულ ითხოვთ, რომ საპატრიარქო არ იყოს პოლიტიკურ პროცესებში ჩართული?! დღეს ითხოვთ, რომ საპატრიარქომ პოლიტიკური განცხადებები გააკეთოს. როცა ქრისტიანული იდეის პოლიტიზება ხდება, ეს ყოველთვის იძენს არასწორ სახეს და ყოველთვის არის კიდევ ერთი დაპირისპირების მიზეზი და საფუძველი. ქრისტიანული იდეა პატრიებისა და სიყვარულისა, ინდივიდუალურად თითოეულ ადამიანზე გადის.“³⁰

მიტროპოლიტი შიო

საყოველთაო შერიგების იდეას საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ქორეპისკოპოსი, საქართველოს წმინდა სინოდის წევრი და საპატრიარქო ტახტის მოსაყდრემ შიო მუჯირი 17 ოქტომბერს საკვირაო ქადაგებისას გამოეხმაურა. მისი განცხადებით, ხშირად არასწორად განმარტავენ ქრისტიანულ სწავლებას და მიიჩნევენ, რომ ყველას ყველაფერი უნდა აპატიო და ყოველთვის ყველას უნდა შეურიგდე.

„დღეს საუბრობენ საყოველთაო შერიგებაზე. სხვათა შორის, ხშირად არასწორად განმარტავენ ქრისტიანულ სწავლებას, ამბობენ, რომ ყველას ყველაფერი უნდა აპატიო, ყოველთვის ყველას უნდა შეურიგდე. ასეთი რამ სახარებაში არ გვიწერია და, გარდა იმისა, რომ სამართლიანი სასჯელითაც უნდა აღიკვეთოს ბოროტება, ასევე ზოგჯერ, უკიდურეს შემთხვევებშიც, უნდა მოვიკვეთოთ ასეთი ადამიანი, პირად მტერზეა საუბარი, მოვიკ-

²⁹ საპატრიარქოს უწყებანი - ფეისბუქ გვერდი, 14.10.2021, ხელმისაწვდომია <https://www.facebook.com/sap.uwebaNews/photos/a.127386075337274/628127841929759/>

³⁰ interpressnews.ge, „დეკანოზ ანდრია ჯაღმაიძის განცხადებით, სააკაშვილთან დაკავშირებით მეუფეების განცხადება საპატრიარქოს პოზიცია არ არის“, 14.10.2021, ხელმისაწვდომია <https://www.interpressnews.ge/ka/article/678802-dekanoz-andria-jagmaizis-gancxadebit-saakashviltan-dakavshirebit-meupeebis-gancxadeba-sapatriarkos-pozicia-ar-aris>

ვეთოთ ჩვენი ცხოვრებიდან ან საზოგადოებიდან“ - თქვა მეუფე შიომ და მრევლს პავლე მოციქულის სიტყვები შეახსენა - „მოიკვეთეთ უკეთური!“³¹

მიტროპოლიტის ქადაგება დიდი ალბათობით, სწორედ მიხეილ სააკაშვილის მიემართება და თავისი არსით, პოლიტიკური განცხადებაა.

მიტროპოლიტი მალხაზ სონღულაშვილი

მიტროპოლიტი მალხაზ სონღულაშვილი საქართველოს ევანგელურ-ბაპტისტური ეკლესიას წარმოადგენს. შერიგების თემას ის 14 ოქტომბერს გამოეხმაურა და მაგალითად სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკა მოიყვანა, სადაც მისი განცხადებით, ქვეყანამ პოლარიზება „სიმართლისა და შერიგების“ ერთობით დასძლია. მისი მოსაზრებით, შერიგება გამოსავალია.

„ჩვენი ქვეყანა ამ კრახის წინაშე დგას. თუმცა ჯერ კიდევ გვიანია არ არის, ბედის ბორბალი შემოვაბრუნოთ. დავიწყეთ ერთი ადამიანის სიცოცხლის გაფრთხილებით და გავაგრძელოთ საღი და ემპათიით აღსავსე საზოგადოების შენებით. ეს ჩვენი შანსია. იქნება, ვისაც გაგონების უნარი აქვს, იმან გაიგონოს რასაც ახლა ვამბობ! ჩვენ ყველას გვჭირდება სიმართლე და შერიგება!“³²

³¹ რადიო თავისუფლება, 'მეუფე შიომ საყოველთაო შერიგების' შესახებ: „მოიკვეთეთ უკეთური!“, 17.10.2021, ხელმისაწვდომია

https://www.radiotavisupleba.ge/a/31515027.html?nocache=1&fbclid=IwAR25xqrGFqOBD5XzNG_jpMNPWWZwTj0wz9IDkVbSBxGVeVroA_hTUyT_VPw

³² netgazeti.ge, სიმართლე და შერიგება | მალხაზ სონღულაშვილი, 14.10.2021; ხელმისაწვდომია

https://netgazeti.ge/news/569401/?fbclid=IwAR34hMU-Qhm3xiP046tPMW43PWwN_N-5sOlrCkE9D4lpO7chEAU0yQf-zpo